

86/2
1927



პრეზიდიუმის დადგენილი აქტის შესახებ

საქართველოს სსრ.



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

ოქტომბრის სასკალსო კომისიისგან გამოცემა

1927 წ. აპრილის 28

№ 2

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

16. დადგენილება № 9 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „მიწის კოდექსის 23, 25, 27, 28, 30, 31, 34, 36 და 118 მუხ. შეცვლისა და დამატების შესახებ“.
17. დადგენილება № 10 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „ადგილობრივ ბიუჯეტის ასრულების პროცესში კრედიტების გადანაცვლების შესახებ“.
18. დადგენილება № 11 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხების 1926/27 წლ. სათემო ბიუჯეტში მიქცევის შესახებ“.
19. დადგენილება № 12 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 22¹ მუხლისა და 22 მუხლის დანართის დამატების შესახებ“.
20. დადგენილება № 13 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის შეთანხმებისა და განსაზღვრის შესახებ საკურორტო საქმის იმ საკითხების სფეროში, რაც მიწის წიაღის გამოყენებაზე დაკავშირებული“.
21. დადგენილება № 14 ც. ა. კ. „საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ“.
22. დადგენილება № 15 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „იმ პირთა (შინა-მოსამსახურე-

რეთა) შრომის პირობების შესახებ, ვინც დაქირავებით მუშაობს დამქირავებლის სახლში და ემსახურება ამ უკანასკნელს და მის ოჯახს“.

23. დადგენილება № 16 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „მუნიციპალიზაციის ექსპლუატაციის მოწესრიგებისა და მათი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

24. დადგენილება № 17 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“.

დებულება სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ.

25. დადგენილება № 18 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ“.

26. დადგენილება № 19 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწ. რედაქციის შეცვლის შესახებ“.

27. დადგენილება № 20 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სისხლის სამართლის კოდექსის 231¹ მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ“.

28. დადგენილება № 21 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 203¹ მუხ. მე-2 ნაწ. დამატების შესახებ“.

29. დადგენილება № 22 ც. ა. კ. „მთავარი სატერმინოლოგიო კომისიისა და ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის დაარსების შესახებ“.

დებულება სახალხო განათლების კომისიასთან არსებული ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის შესახებ.

30. დადგენილება № 23 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი განყოფილებისათვის განქორწინების საქმეების გადაცემის შესახებ“.

31. დადგენილება № 24 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „ადგილობრივ საბჭოების მიერ სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების უმაღლესი უკიდურესი ზედნართების დაწესებისა და, ადგილობრივი სახსარის გასაძლიერებლად, მათთვის საერთო-სახელმწიფო გადასახადებით დაუბეგრავ ობიექტებზე ზოგიერთი დამატებითი გადასახადისა და გამოსაღების დაწესებისა და გადახდევინების უფლების მინიჭების შესახებ“.

32. დადგენილება № 25 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23, 174, 191, 192, 199, 199⁷, 200, 210 და 226-230 მუხ. შეცვლისა და 220-225 მუხ. გაუქმების შესახებ“.

სახ. ლხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

33. დადგენილება ს. კ. ს. „სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადების“ წესების შეცვლისა და დამატების შესახებ“.

34. დადგენილება ს. კ. ს. „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისიარატის გამგებლობაში მყოფი პროფესიონალურ დაავადებათა ლაბორატორიის სახელწოდების შეცვლის შესახებ“.

35. დადგენილება ს. კ. ს. „საქართველოს ს. ს. რ. ფარგლებში მდებარე ავქალა-ყარაიაზისა, შორაპნისა, ბორჯომისა, სუმბათოვისა, წალვერისა, ბაკურიანისა, ჭიათურისა, ქუთაისისა, სიღნაღისა და თელავის სატყეოთა იმ ტყეების დაცვის შესახებ, რომელთაც დაცვითი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის რკინის გზებისათვის“.

36. დადგენილება ს. კ. ს. „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მიერ კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მოქმედ საწარმოსა და სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო სახსართა და მატერიალური ფასეულობის მოთავსების წესის თაობაზე“ 1926 წლის ნოემბრის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ“.

37. დადგენილება ს. კ. ს. „სახემწიფოს მიერ სტულდენტ-სტიპენდიატებზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ“.

16. დადგენილება № 9 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მიწის კოდების 23, 25, 27, 28, 30, 31, 34, 36 და 118 მუხ. შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მიწის კოდების 23 მუხლს დამატოს შემდეგი შენიშვნა:

„სასოფლო-სამეურნეო შენობისა და ნაგებობის არა იმ პირობით გაყიდვა და გაჩუქება, რომ ეს შენობა თუ ნაგებობა ადგილიდან იქნეს აღებული და სხვაგან გადატანილი, შეიძლება მხოლოდ იმ პირობებზე, ვისაც საადგილ-მამულო ორგანოთა მიერ, არსებული წესისამებრ, გადაეცემა ის მიწა, რაზედაც აღნიშნული ნაგებობა და შენობაა. ამ პირობებში ნასყიდობისა და გაჩუქების გარიგებისათვის საჭირო არ არის სანოტარო დამოწმება, ხოლო, ბათილობის რიგით, სავალდებულოა რეგისტრაცია ადგილობრივი თემის აღმასკომში ერთი თვის განმავლობაში დღიდან გარიგების დადებისა. ისეთი სასოფლო-სამეურნეო შენობისა და ნაგებობის დაგირავება ან ანდერძით გადაცემა, რაც მიწას არ აეცლება, აკრძალულია და გამოიწვევს მიწის კოდ. 25 მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.“

ხოლო, უკეთეს შენობა ან ნაგებობა იმ პირობით იყიდება, რომ იგი ადგილიდან იქნეს აღებული და სხვაგან გადატანილი, ამ შემთხვევაში ნასყიდობის გარიგებისათვის არავითარი რეგისტრაცია საჭირო არ არის“.

მუხ. 25 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 25. მიწის ყიდვა, გაყიდვა, ანდერძით გადაცემა, გაჩუქება, დაგი-
რაება და საერთოდ მიწის გასხვისება (მიწის სარგებლობის უფლება) აკრძალუ-
ლია; იმ პირს, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილ იქნება დამნაშავედ ზე-
მოხსენებული გარიგების დადებაში, გარდა იმისა, რომ მის წინააღმდეგ მიღე-
ბულ იქნება სოციალური დაცვის სათანადო ღონისძიება (სისხლის სამართლის
კოდექსის 192 მუხ.), ჩამოერთმევა მიწის გარიგების ობიექტი; ჩამორთმეული
მიწა გადაირიცხება სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში, ხოლო მიწაში
აღებული საფასური გადახდევინებულ უნდა იქნეს სათანადო თემალმასკომის
სასარგებლოდ.

შენიშვნა. უკეთუ აკრძალული გარიგების ობიექტი ისეთი მიწაა,
რაც ხელშეკრულების დამდებს სარგებლობის უფლებით არ ეკუთვნის
(მეურვეობაში მიცემულ პირთა მიწა და სხვა ასეთი), მიწა კანონიერ მო-
სარგებლეს უნდა დაებრუნოს.

მუხ. 27 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 27. საშრომო იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) სახნავ-სათესად გაცემული მიწისათვის—სამ წელს; განსაკუთრებულ
შემთხვევაში (როცა, მაგალითად, მიწას იჯარით გასცემს ქვრივი დედაკაცი,
უშვილო ან წვრილ ობლებიანი), მაზრის საადგილ-მამულო ორგანოს შეუძლიან
განუგზავნონ იჯარის ვადა ექვს წლამდე;

ბ) ნარინჯოვანი (ციტრუსოვანი) და დაბალ ტანოვანი ნარგავის გასაშე-
ნებლად—ათ წელს;

გ) ვენახისა და ხილის ბაღის მაღალტანოვანი ნარგავის გასაშენებლად—
თორმეტ წელს.

შენიშვნა. იჯარის ვადა ისეთი მიწის გაცემისათვის, რაზედაც უკვე
გაშენებულია ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული ნარგავი,
სრულმოწიფული ან არა სრულმოწიფული, არ უნდა აღემატებოდეს ექვს
წელს.

მუხლი 28 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 28. მიწის იჯარით აღება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ
მოიჯარადრე მას დაამუშავებს თავისი სამეურნეო ძალებით და დაქირავებულ
შრომას გამოიყენებს ამა კოდექსის 37 და 38 მუხ. საფუძველზე.

მუხლი 30 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 30. საიჯარო ხელშეკრულება და ყველა მისი დამატებითი შეთანხმე-
ბა ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ხელშეკრულებას და შეთან-
ხმებას დამტკიცებს მაზრის საადგილ-მამულო განყოფილება, რომელმაც ყოველ
ცალკე შემთხვევაში წინასწარ უნდა გამოარკვიოს—არის თუ არა შესრულებუ-
ლი ყველა ის პირობა, რაც კი საჭიროა იჯარის ნების დასართავად. მაზრის
საადგილ-მამულო განყოფილების მიერ დამტკიცებული საიჯარო ხელშეკრულე-
ბა უნდა გაეგზავნოს სათანადო [თემის აღმასრულებელ კომიტეტს რეგისტრა-
ციისათვის.

შენიშვნა. რეგისტრაცია უფასოა.

მუხლი 31 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 31. უკეთუ ამა კოდექსის 27 მუხლში მოხსენებული საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ მიწის იჯარით გამკემი ვერ შესძლებს თითონ დაამუშაოს ის მიწა, რომელიც იჯარით იყო გაცემული, ეს მიწა მას ჩამოერთმევა და სათანადო ფონდში გადაირიცხება.

მუხლი 34 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 34. საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მიწის იჯარით გამკემისა ან საადგილ-მამულო ორგანოების მოთხოვნით იჯარის ვადის გასვლამდე, უკეთუ მოიჯარადრემ დაარღვია წინა მუხლში აღნიშნული პირობები ან არ შეასრულა საიჯარო ხელშეკრულების პირობები; ხელშეკრულების მოშლა და აქედან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის შედეგების განსაზღვრა იჯარის გამკემისა და მოიჯარადრისათვის და აგრეთვე განხილვა იჯარით გამოწვეული ყოველგვარი დავისა მოხდება საადგილ-მამულო დავის გადაწყვეტის წესით (მიწ. კოდ. 161—166 მუხლები).

მუხლი 36 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 36. საიჯარო პირობების სისწორით შესრულებას უშუალოდ თვალყურს ადევნებს სათანადო თემის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც საიჯარო ხელშეკრულებას რეგისტრაცია გაუკეთა.

118 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

შენიშვნა 1. მიწის გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მხოლოდ მიწათმოწყობისა, კომლის გაყრისა და ძირითადი საადგილ-მამულო რეგისტრაციის დროს.

შენიშვნა 2. უკეთუ მიწების გაცვლა-გამოცვლის დროს კარგი ღირსების მიწა იცვლება უფრო მდარე მიწაზე, ეს მდარე მიწა მიიღება შესაფერისად მეტი რაოდენობით, ხოლო კანონიერი ნორმის ფარგლებში.

შენიშვნა 3. მიწის გაცვლა-გამოცვლის დროს იმ შენობებისა, ნაგებობებისა და ნარგავის ანაზღაურება, რაც მიწას არ აეცლება, მოხდება საადგილ-მამულო ორგანოების კონტროლით და მას შემდეგ, როდესაც მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს მისაცემი საზღაურის რაოდენობას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 1.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-30 №-ში 1927 წ. თებერვლის 8.

17. დადგენილება № 10 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადგილობრივი ბიუჯეტის ასრულების პროცესში კრედიტების გადანაცვლების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის აგვისტოს 9-ს თარიღის დადგენილებით დამტკიცებული ადგილობრივი ფინანსების დებულების 106 მუხლის თანახმად (ა/კ სფსრ კან. კრ. 1926 წლ. მე-8 №-რი, მუხ. 697)—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ადგილობრივი ბიუჯეტით კრედიტების გადანაცვლება ერთი და იმავე კარის ფარგალში, ე. ი. პარაგრაფიდან პარაგრაფში, ერთი პარაგრაფის მუხლიდან იმავე პარაგრაფის მეორე მუხლში და ერთი და იმავე მუხლის ლიტერიდან მეორე ლიტერში შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

2. კრედიტების გადანაცვლება ერთი და იმარე კარის ფარგლებში, ე. ი. ამ კარის ერთი პარაგრაფიდან მეორე პარაგრაფში შეიძლება: 1. იმ მაზრებისა და ქალაქების ბიუჯეტით, რომელნიც არ შედიან ავტონომიურ რესპუბლიკაში, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით და 2. აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ მაზრებისა და ქალაქების ბიუჯეტით — ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებით; 3. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მაზრებისა და ქალაქების ბიუჯეტით — ამ ოლქის ცენტრალური აღმ. კომიტეტის დადგენილებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

3. კრედიტების გადანაცვლება ერთი პარაგრაფის ფარგლებში, ე. ი. ერთი და იმავე პარაგრაფის მუხლებ შორის, ან რომელიმე მუხლის ლიტერებ შორის — ნებადართულ უნდა იქნეს სამაზრო თუ საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს (აფხაზეთისა და აჭარისტანის რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულის მეშვეობით).

4. მაზრისა თუ ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება კრედიტის გადანაცვლებისა (მუხ. მე-3) ან ასეთი გადანაცვლების საჭიროების შესახებ (მუხ. მე-2) სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

5. კრედიტების გადანაცვლება კართა შორის არ შეიძლება. ხოლო, უკეთეს ბიუჯეტის ასრულების პროცესში საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული რომელიმე ღონისძიების განხორციელება მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუძლებელია, სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს

უფლება აქვს გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელებაზე უარს ამბობს, და ამრიგად განთავისუფლებული სახარი მიაქციოს ბიუჯეტის სხვა სახარჯთაღრიცხვო დანაყოფით გათვალისწინებული ასიგნვის გადიდებისათვის ან ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯის გასაწევად; ამასთანავე, ორივე შემთხვევაში აუცილებელია დამატებითი ხარჯთაღრიცხვის შედგენა და ეს ხარჯთაღრიცხვა სისრულეში მოიყვანება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დამტკიცებულ იქნება ძირითად ბიუჯეტის დამტკიცებისათვის დადგენილი წესისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1927 წ. თებერვლის 1.

ტფილისი—სასახლე.

18. დადგენილება № 11 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხების 1926/27 წლ. სათემო ბიუჯეტში მიქცევის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ 1926 წ. ივნისის 16 მიღებული რეზოლიუციის მე-5 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. ადგენენ:

1. ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლ. აგვისტოს 9-ს თარიღის დადგენილებით დამტკიცებული ა/კსფსრ ადგილობრივ ფინანსთა დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წლ. მე-8 №-რი, მუხ. 697) თანახმად $66\frac{2}{3}\%$ -ის რაოდენობით დაწესებული ანარიცხი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა მთლად მოთავსებულ იქნეს 1926/27 წლის სათემო ბიუჯეტებში ტერიტორიალური ნიშნების მიხედვით.

2. წინა მუხლით დადგენილი საერთო წესის გამოჩაკლისად და განსაკუთრებულად დეფიციტური თემების ბიუჯეტების გამოსწორებისა და მოწესრიგების მიზნით, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, გამოაყონ ნაკლები ძალღონის მქონე თემების ბიუჯეტების გასაძლიერებლად შედარებით უფრო მძლავრი თემების ბიუ-

ჯეტებიდან ნაწილი მათ ტერიტორიაზე შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურ-
ნეო გადასახადის ანარიცხებისა, ხოლო არა უმეტეს შემოსული სასოფლო-სამე-
ურნეო გადასახადის 26²/₃1/6-ისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 2.
ტფილისი—სასახლე.

19. დადგენილება № 12 ც. ბ. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე
კოდექსისათვის 22¹-მუხლისა და 22 მუხლის დანართის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II-მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის
დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ-
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სა-
ხალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

I.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემ-
დეგნაირად:

მუხ. 22. ქვემოჩამოთვლილი სახელმწიფო ქონება, რასაც განაგებენ სახელ-
მწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები (საწარმონი და დაწესებუ-
ლებანი), არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირ-
თა და საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა საკუთრებად; იგი არ
შეიძლება დაგირავებულ იქნეს და აგრეთვე არ შეიძლება მასზე გადახდევინების
მიქცევა კრედიტორების დასაკმაყოფილებლად: ა) სამრეწველო სატრანსპორტო
და სხვა საწარმო მთლიანად; ბ) სამრეწველო დაწესებულება (ფაბრიკა, ქარხანა,
მალარო და სხვა); გ) სამრეწველო საწარმოთა გაწყობილობა; დ) რკინის გზის
მოდრავი შედგენილობა, საზღვაო და სამდინარეო ნავსურქელი და საფრინავი
აპარატი; ე) რკინის გზისა, წყლისა და ჰაერის ტრანსპორტის ნაგებობა, სახალ-
ხო კავშირგაბმულობის ნაგებობა (ტელეგრაფი, ტელეფონი და საერთო სარგებ-
ლობის რადიო-დადგმულება), ჰიდრო-ტექნიკური და საქონლის ტრიალისათვის
დანიშნული ნაგებობა (ელევატორი, მაცივარი და სხვ.) და აგრეთვე საერთო
სარგებლობის ელექტრო-დადგმულობა; ვ) კომუნალური ნაგებობა; ზ) შენობები.

შენიშვნა. ამა მუხლის გამონაკლისი შეიძლება იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია განსაკუთრებული წესებით (იხ. დანართი—სახელმწიფო ქონების გასხვისების პირობებისა და წესის დებულება).

II.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 22¹-მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 22¹. ერთი სახელმწიფო ორგანოს მიერ მეორისათვის 22 მუხ. გათვალისწინებული ქონების გადაცემის წესი, აგრეთვე ის წესი და პირობები, რომლითაც სახელმწიფო ორგანოს შეუძლიან გადასცეს აღნიშნული ქონება აქციების ფასის გადასახდელად შერეულ სააქციო საზოგადოებას ან ისეთ სააქციო საზოგადოებას (საპაიო აზნაზგობას), სადაც მოთავსებულია მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალი, განისაზღვრება განსაკუთრებული კანონებით და ამ საზოგადოებათა წესდებებით.

III.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლს დაემატოს ქვემოაღნიშნული დანართი.

22 მუხ. დანართი.

დებულება.

სახელმწიფო ქონების გასხვისების წესისა და პირობებისა.

1. უმოკმედო სახელმწიფო ფაბრიკისა, ქარხნისა და სხვა სამრეწველო დაწესებულების გასხვისება მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება ისეთ შემთხვევაში, უკეთუ შეუძლებელია მათი მიზანშეწონილი გამოყენება ან უკეთუ მათი შენახვა და შეკეთება არა თანაზომიერად დიდ ხარჯს გამოიწვევს.

2. ამა დებულების 1 მუხლში აღნიშნული სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებანი შეიძლება გასხვისებულ იქნენ კოოპერატიულ ორგანიზაციებზე იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი კაცი მუშაობს ამ დაწესებულებებში, ხოლო კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე შეიძლება მხოლოდ ისეთი დაწესებულების ან მისი ნაწილის გასხვისება, რომლის ექსპლოატაციისათვის, ნორმალურად, იმდენი მუშის დაქირავებაა საჭირო, რამდენიც სპეციალური კანონებით შეიძლება დაიქირაოს კერძო პირთა საწარმოში.

შენიშვნა. გასასხვისებელ სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულების შექენისათვის შერეული სააქციო საზოგადოება ისარგებლებს იმავე უფლებას, რაც კერძო პირთ აქტთ, უკეთუ მას თავისი წესდებით უფრო მეტი უფლება არა აქვს მინიჭებული.

3. გასხვისება სამრეწველო საწარმოთა ვაწყობილობისა, რკინის გზათა მოძრავი შედგენილობისა, საზღვაო და სამდინარეო ნავსაზღვაოსა და საფრინავ

აპარატების (სამ. სამ. კოდ. 22 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტები) შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, უკეთუ აღნიშნული ქონება დაძველდა, აღარ ვარგა, ან აღარ შეიძლება მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ, ან და უკეთუ იგი, კონსტრუქციის დაძველების გამო, შეცვლილი იქნება უფრო გაუმჯობესებული კონსტრუქციის ქონებით.

შენიშვნა 1. გაწყობილობას არ შეადგენს: ცოცხალი ინვენტარი, ავეჯეულობა და ხელსაწყო იარაღი.

შენიშვნა 2. ამა მუხლში აღნიშნული წესი გავრცელდება მდინარის ნავჭურჭელზე: ა) რომელიც დაუმავრებელი კონსტრუქციისა, ბ) რომელსაც აქვს მექანიკური მამოძრავებელი არა უმეტეს 15 ნომინალური ძალისა და გ) რომელსაც არა აქვს მექანიკური მამოძრავებელი და სიგრძით არ აღემატება 42, 671 მეტრს (20 საჟ.).

4. ყოველგვარი ნაგებობისა და შენობის გასხვისება (სამ. სამ. კოდ. 22 მუხ. „ე“, „ვ“, „ზ“ პუნქტები) შეიძლება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი დაძველდა ან აღარ ვარგა.

5. საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა ქონება, რაც სამ. სამ. კოდ. 22 მუხლში აღნიშნული არ არის, შეიძლება გასხვისებულ იქნეს, უკეთუ მათი გამოყენება სამეურნეო თვალსაზრისით ხელსაყრელი არ არის ან არ შეეფერება დაწესებულების თუ საწარმოს დანიშნულებას, და აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, თუ აღნიშნული ქონება დაძველდა ან აღარ ვარგა.

6. მომქმედი სამრეწველო დაწესებულება, აგრეთვე საზღვაო ნავჭურჭელიც იმ შემთხვევაში, უკეთუ არ არსებობს მე-3 მუხლში აღნიშნული პირობანი, შეიძლება გასხვისებულ იქნეს საზოგადოებრივ, კოოპერატიულ და კერძო პირთა საკუთრებად მხოლოდ იმ წესისამებრ და იმ პირობებში, რაც ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრულ იქნება საქართველოს სსრ და სსრკ-ის სახ. კომ. საბჭოების დადგენილებით—კუთვნილებისამებრ.

7. უმოქმედო სახელმწიფო ფაბრიკისა, ქარხნისა და სხვა სამრეწველო დაწესებულების გასხვისება (მუხ. 1), გასხვისება აგრეთვე ყოველგვარი სახელმწიფო ნაგებობისა, შენობისა, საფრინავი აპარატისა და სამდინარეო ნავჭურჭლისა, მე-4 მუხ. აღნიშნულთა გამოკლებით, შეიძლება: ა) ადგილობრივ საბჭოთა ქონებისა საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი ან ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით—კუთვნილებისამებრ და ბ) დანარჩენი ქონებისა—სათანადო სახალხო კომისარიატის წარდგენით—ეკონომიური თათბირის ან შრომისა და თავდაცვის საბჭოს ნებართვით—კუთვნილებისამებრ.

8. ამა დებულების მე-3 და 4 მუხლში აღნიშნული ქონების გასხვისება შეიძლება: ა) ადგილობრივ საბჭოთა ქონებისა საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი ან

ავტონომიურ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით—კუთვნილებისამებრ და ბ) დანარჩენი ქონებისა—სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით.

9. სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ იმ სახელმწიფო ქონების გასხვისება, რასაც იგინი განაგებენ და რაც აღნიშნული არ არის სამ. სამ. კოდ. 22 მუხლში, შეიძლება: ა) ისეთი ქონებისა, რომელიც ათას მანეთზე მეტი არა ღირს—საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით; ბ) ისეთი ქონებისა, რომელიც ათას მანეთზე მეტი ღირს—უკეთუ იგი ადგილობრივ საბჭოს ეკუთვნის—საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს ან ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით—კუთვნილებისამებრ; დანარჩენ ქონებისა კი—სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით.

10. გასასხვისებელ ქონებას ასწერს და შეაფასებს ის საწარმო თუ დაწესებულება, რომელიც მას განაგებს. უკეთუ ქონების გასხვისებისათვის, მისი ხასიათის ან ფასის მიხედვით, ამა დებულების თანახმად საჭიროა წინასწარი ნებართვა, აღნიშნული აღწერილობა და შეფასება და აგრეთვე თხოვნა ნებართვის შესახებ ერთად უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოს. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს აღწერილობაში აღნიშნული ქონების ფასს, რის ნაკლებ ქონების გაყიდვა არ შეიძლება.

11. ამა დებულების მე-3, 4, 5 და 7 მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ქონება გაიყიდება საჯარო ვაჭრობით, გარდა: ა) იმ ქონებისა, რომელიც 10 მუხლის წესისამებრ ათას მანეთზე ნაკლებ არის შეფასებული, ბ) იმ ქონებისა, რომელიც მალე ფუჭდება, და აგრეთვე ყოველგვარი ისეთი ქონებისა, რომელიც, თუ დროზე არ გაიყიდა, შეიძლება სრულიად უფარგისი გახდეს.

12. სახელმწიფო ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესი, რითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე იმ ვაჭრობის შედეგით, რომელიც არ შესდგა, განისაზღვრება—უკეთუ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ქონებაა გასაყიდი—სსრკ-ის სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ, ხოლო უკეთუ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ქონება,—საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 3.

ტფილისი—სასახლე.

20. დადგენილება № 13 ც. ბ. ძ. და ს. ძ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის შეთანხმებისა და განსაზღვრის შესახებ საკურორტო საქმის იმ საკითხების სფეროში, რაც მიწის წიაღის გამოყენებაზე დაკავშირებულია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის შეთანხმებისა და განსაზღვრისათვის საკურორტო საქმის იმ საკითხების სფეროში, რაც დაკავშირებულია მიწის წიაღის გამოყენებაზე და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის 1923 წლის თებერვლის 3-ის დეკრეტის (გაზ. „კომუნისტი“-ს 31 №-რი 1923 წლ. თებერვლის 10-სა) მე-2, 10, 18 და 19 მუხლის განსაერთარებლად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:

1. უკვე აღმოჩენილი მინერალური და სამკურნალო მნიშვნელობის მტკნარი წყაროები როგორც ექსპლოატაციაში ქონებული, ისე ექსპლოატაციაში არ-ქონებული, აგრეთვე სამკურნალო მიზნით გამოყენებული მარილოვანი ტბები და მინერალური ტალახი საქართველოს კურორტების იმ სამთო-სანიტარული დაცვის ოლქების ფარგლებში, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით,—არის მთავარი საკურორტო სამმართველოს სრულს განკარგულებაში; ხოლო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს ამ მინერალურ სიმდიდრეს სამთო ზედამხედველობა გაუწიოს და მისი ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევა და საძიებლო მუშაობა აწარმოოს.

2. ნებართვას ნაციონალიზაციაქმნილ საკურორტო მიწაში პირველი აღმოჩენის უფლებით ყოველგვარი წიაღისეულის საძებნად, საკვლევად და დასამუშავებლად გასცემს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მთავარ საკურორტო სამმართველოსთან შეთანხმებით.

3. ნაციონალიზაციაქმნილი საკურორტო მიწის ყოველგვარ წიაღისეულს,— გარდა სამკურნალო მნიშვნელობის მინერალური და მტკნარი წყლებისა, ტალახისა და მარილებისა, აგრეთვე საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეულისა,— დასამუშავებლად გასცემენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოები, მთავარ საკურორტო სამმართველოსთან შეთანხმებით.

4. ნაციონალიზაციაქმნილი საკურორტო მიწის საყოველთაოდ გავრცელებული წიაღისეული მთავარ საკურორტო სამმართველოს განკარგულებაშია; ამასთანავე, უკეთეს აღნიშნული სამმართველო თვითონვე ამუშავებს საკურორტო მიწის წიაღს, ეს, ყოველ ცალკე შემთხვევაში, საერთო წესისამებრ, უნდა სამთო ზედამხედველობას აცნობოს, ხოლო იჯარით გაცემა შეუძლიან მას შემდეგ,

როდესაც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრულ იქნება საიჯარო ქირა, წიაღიდან ამოსაღების რაოდენობა და ხელშეკრულების ვადა.

5. რაც შეეხება დანარჩენ ნაციონალიზაციაქმნილი საკურორტო მიწის წიაღისეულს, რაც გათვალისწინებულ არ არის ამა დადგენილების 1 და 4 მუხლში, მთავარ საკურორტო სამმართველოს აქვს მისი დამუშავების უპირატესი უფლება; ამასთანავე, დამუშავების პირობები განისაზღვრება აღნიშნული სამმართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შეთანხმებით.

6. მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში ქონებული წყაროების (მინერალური და მტკნარი წყალი, მინერალური ტალახი და მარილოვანი ტბები) შემოსავალი, აგრეთვე ის შემოსავალიც, რასაც სამართველო მიიღებს საყოველთაოდ გაგრცელებული წიაღისეულის საკუთარი დამუშავებით ან იჯარით გაცემით, გადადის ამ სამართველოს სრულს განკარგულებაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 თებერვლის 3.

ტფილისი—სასახლე.

21. დადგენილება № 14 ც. ა. ქ.

საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1926 წლის დეკემბრის 22-ს დამტკიცებულ ინსტრუქციაში მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყროლობების მოწვევის შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-8 მუხლში სიტყვები: „უკეთუ ისინი არა ხაკლებ ხუთი წლისა ეწევიან სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომას“—შეიცვალოს შემდეგნაირად: „უკეთუ ისინი არა ნაკლებ სამი წლისა ეწევიან სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომას“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 17.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-40 №-ში 1927 წ. თებერვლის 19.

22. დადგენილება № 15 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

იმ პირთა (შინა-მოსამსახურეთა) შრომის პირობების შესახებ, ვინც დაქირავებით მუშაობს დამქირავებლის სახლში და ემსახურება ამ უკანასკნელს პირადად და მის ოჯახს.

რადგანაც იმ პირთა შრომის განსაკუთრებული პირობები, ვინც დაქირავებით მუშაობს დამქირავებლის სახლში და ემსახურება ამ უკანასკნელს პირადად და მის ოჯახს (შინა-მოსამსახურენი) საქიროებს—სპეციალურად იქნეს მოწესრიგებული, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, შრომის მომქმედ კანონთა სათანადო შემთხვევაში შესაცვლელად, შესავსებად და გასაუქმებლად ადგენენ:

1. შინა მოსამსახურის სამუშაოზე მიღება, როგორც დამქირავებლის სახლში მცხოვრებისა, ისე გარედან მოსიარულისა, დამქირავებელს შეუძლიან შრომის ბირჟის მეშვეობით ან პირდაპირ დაქირავებულთან შეთანხმებით.

2. ვიდრე შინა-მოსამსახურე სამუშაოზე საბოლოოდ იქნებოდეს მიღებული, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს წინასწარ გამოსაცდელად ორი კვირით.

3. დამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოოს შინა-მოსამსახურეს დაქირავების დროს მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ და აგრეთვე მისი ჯანმრთელობის პერიოდული შემოწმება.

შენიშვნა. შინა-მოსამსახურეს პერიოდულად შეამოწმებს ხოლმე ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ორგანო სამუშაო დროს.

4. დამქირავებელი მოვალეა მისცეს შინა-მოსამსახურეს არა უგვიანეს შვიდი დღისა სამუშაოზე საბოლოოდ მიღების მომენტიდან საქართველოს სსრ შრომის სახკომის მიერ დაწესებული ფორმის ანგარიშგასწორების წიგნაკი.

დამქირავებელსა და დაქირავებულის შეთანხმებით ანგარიშგასწორების წიგნაკის დამოუკიდებლად, შეიძლება დაიდოს მათ შორის დამატებით წერილობითი შრომის ხელშეკრულება.

უკეთუ შინა-მოსამსახურემ წერა-კითხვა არ იცის, შრომის ხელშეკრულებას შეიძლება დამქირავებულის სახელით ხელი მოაწეროს გარეშე პირმა, ვისაც დაქირავებული დაასახელებს.

შინა-მოსამსახურის სახელით და მისი მინდობილობით შრომის ხელშეკრულების დადება და ხელის მოწერა შეუძლიან პროფესიონალურ კავშირსაც.

ანგარიშგასწორების წიგნაკისა და წერილობითი შრომის ხელშეკრულები-სათვის არავითარი რეგისტრაცია არ არის საჭირო.

შენიშვნა. უკეთუ შინა-მოსამსახურე ერთი თვეზე ნაკლები ვადით არის დაქირავებული, მისთვის ანგარიშგასწორების წიგნაკის მიცემა სავალდებულო არ არის.

5. დამქირავებელმა ანგარიშგასწორების წიგნაკი ორ ცალად უნდა დაამზადოს; ერთი ინახება თვითონ მასთან, ხოლო მეორე—დაქირავებულთან.

ანგარიშგასწორების წიგნაკის ორივე ცალში დამქირავებელმა უნდა აღნიშნოს ხოლმე ანგარიშის გასწორება. უკეთუ დადებულ იქნება შრომის ხელშეკრულება, ესეც ორ ცალად უნდა იქნეს შედგენილი და ერთი ცალი მიეცეს შინა-მოსამსახურეს.

6. იმ პირის დაქირავება შინა-მოსამსახურედ, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, არ შეიძლება. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, და ისიც მხოლოდ მშობლებისა ან მეურვის თანხმობით, შეიძლება მკირეწლოვანის დაქირავება, ხოლო 14 წლისაზე არა უმცროსისა.

7. ანგარიშგასწორების წიგნაკში უნდა აღინიშნოს: ა) რა ძირითადი სამუშაოსათვის არის დაქირავებული შინა-მოსამსახურე, კერძოდ უნდა აღინიშნოს დამქირავებლის ოჯახის წევრთა რიცხვი, რომელთაც ემსახურება შინა-მოსამსახურე, ბ) დაქირავების ვადა, გ) სამუშაო დროის ხანგრძლიობა და განაწილება, დ) შრომის ხელფასი და რა სახით და რა ვადაზე ეძლევა იგი შინა-მოსამსახურეს და ე) მხარეთა შეთანხმებით დადებული დამატებითი პირობები.

ანგარიშგასწორების წიგნაკში აღინიშნება აგრეთვე შეფასება ნატურალურ კმაყოფისა, უკეთუ იგი გათვალისწინებულია დაქირავების დროს.

8. დამქირავებელმა უნდა შეასრულოს ყველა ნაკისრი მოვალეობა: თავის დროზე აძლიოს შინა-მოსამსახურეს შრომის ხელფასი, არ დაარღვიოს პირობა სამუშაო დღის ხანგრძლიობის შესახებ, მისცეს შინა-მოსამსახურეს, უკეთუ ეს შეპირებულია, სათანადო საცხოვრებელი ბინა, კვება და სხვ.

9. შინა-მოსამსახურე მოვალეა ბეჯითად და სინდისიერად შეასრულოს ყველა ნაკისრი ვალდებულება, გაუფრთხილდეს დამქირავებლის მიერ მისთვის ჩაბარებულ ქონებას და შეასრულოს დამქირავებლის ყველა ის მოთხოვნა, რაც კი დაქირავების პირობებიდან გამომდინარეობს.

10. შინა-მოსამსახურის სამუშაო დღე შეიძლება დაიყოს რამდენსამე ნაწილად ისე-კი, რომ შინა-მოსამსახურეს შეეძლოს თავისუფალი დრო გამოიყენოს თავის სურვილისამებრ.

შენიშვნა 1. გარედან მოსიარულე შინა-მოსამსახურესათვის შეიძლება დაწესდეს, რომ მუშაობა სამუშაო დღის განმავლობაში მან მხოლოდ ორჯერ შესწყვიტოს ხოლმე.

შენიშვნა 2. იმ პირს, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია და რომელსაც არ დაუმთავრებია 1 საფეხურის სკოლა, უნდა მიეცეს სასწავლებელში სიარულის შესაძლებლობა პირველ დაწყებითი განათლების მისაღებად.

11. უკეთუ შინა-მოსამსახურე სპეციალურად ბავშვების ან ავადმყოფების მოსავლელად არის დაქირავებული (ბებია, მომვლელი), დაქირავების პირობად შეიძლება დაიდოს ღამით მუშაობა ბავშვებისა და ავადმყოფთა მოსავლელად. ღამის სამუშაოზე არ შეიძლება მიღებულ იქნეს 16 წლისაზე უმცროსი და აგრეთვე ორსული ქალი, დაწყებული ორსულობის მე-7-ე თვიდან.

12. შრომის ხელფასის რაოდენობა, ფორმა და მიცემის ვადა განისაზღვრება შეთანხმებით და აღინიშნება ანგარიშგასწორების წიგნაკში. უკეთუ შინა-მო-

სამსახურის მუშაობა ისეთია, რომ თვეში 192 სამუშაო საათზე (შრომის კანონთა კოდექსის 94 მუხ.) მეტი უნდა მოანდომოს, ხელფასი ამ ზედმეტი მუშაობისა, სხვათა შორის ღამის მუშაობისაც (ამ დადგენილების მე-11-ე მუხ.), ჩაირიცხება შრომის ხელფასის საერთო თანხაში და დაწესდება დაქირავების დროს.

შენიშვნა. აკრძალულია შინა-მოსამსახურესათვის შრომის ხელფასის მიცემა მარტოოდენ ნატურად (ბინა, ტანისამოსი, საქმელ-სასმელი და სხვ.).

13. შინა-მოსამსახურეს-მიეცემა კვირაში ერთხელ გასასვლელი დღე (რადღეც უნდა იყოს) დამქირავებელთან შეთანხმებით.

შენიშვნა. უკეთუ შინა-მოსამსახურეს, დაქირავების პირობების მიხედვით, საღამო-საღამოობით უხდება მუშაობა, დამქირავებელი მოვალეა განთავისუფლოს იგი საზოგადოებრივი საქმისა ან სკოლაში მეცადინეობისათვის, ამ მუხლში გათვალისწინებული გასასვლელი დღის გარდა, კვირაში ერთ საღამოს.

14. შინა-მოსამსახურე განთავისუფლდება მუშაობისაგან შემდეგ დღეებში: იანვრის 1-სა და 22-ს, თებერვლის 25-ს, მარტის 12-სა და 18, მაისის 1-ს, სექტემბრის 20-ს და ნოემბრის 7-ს და აგრეთვე გმნაკუთრებულ დასასვენებელ დღეებში, რასაც დაწესებს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა. უკეთუ შეუძლებელი იქნება შინა-მოსამსახურის განთავისუფლება რომელსაჲმ აღნიშნულ დღეს, მას, შეთანხმებით, უნდა მიეცეს სხვა დღე ან ფულადი კომპენსაცია დაწესებული რაოდენობით.

ხოლო უკეთუ ორი ასეთი დღე ზედი-ზედ მოხვდება, შინა-მოსამსახურე, ყოველ შემთხვევაში, ერთი დღით მაინც უნდა იყოს განთავისუფლებული.

15. შრომის ხელშეკრულება შინა-მოსამსახურესთან შეიძლება მოიშალოს ყოველთვის, როდესაც კი ერთ-ერთი მხარე მოისურვებს, გარდა ამა დადგენილების მე-16-ე მუხლში გათვალისწინებული შემთხვევისა. შინა-მოსამსახურის დათხოვნის დროს დამქირავებელი მოვალეა მისცეს დათხოვნის გასასვლელი დახმარება—ორი კვირის ხელფასი, ან და წინასწარ, ორი კვირით ადრე, გამოუცხადოს მას, რომ დათხოვნილი იქნება.

შინა-მოსამსახურისათვის გასასვლელი დახმარების მიცემა დათხოვნის დროს ან წინასწარი გამოცხადება სავალდებულო არ არის შემდეგ შემთხვევაში: ა) უკეთუ გაუვიდა ვადა განსაზღვრული დროით დადებულ ხელშეკრულებას, ბ) უკეთუ შინა-მოსამსახურე სისტემატიურად არ ასრულებს ნაკისრ მოვალეობას, გ) უკეთუ შინა-მოსამსახურე დაპატიმრებულ იქნება ხუთ დღეზე მეტი ხნით, ან უკეთუ მან ჩაიდინა დანაშაული, სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით დამტკიცებული, დ) უკეთუ შრომის ხელშეკრულება მოიშლება შინა-მოსამსახურის სურვილით ან პროფესიონალური კავშირის მოთხოვნით, ე) უკეთუ გამოცდის დროს (ორი კვირის განმავლობაში) გამოირკვა, რომ შინა-მოსამსახურე

ვერ გამოდგება სამუშაოდ, ვ) უკეთუ შინა-მოსამსახურემ დაჰკარგა შრომის უნარი ორ კვირაზე მეტი ხნით.

შენიშვნა. დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულ შინა-მოსამსახურეს უფლება აქვს სამუშაო დროს, დღეში ორი საათით, დასტოვოს ხოლმე სამსახური—სამუშაოს საძებნელად.

16. აკრძალულია შინა-მოსამსახურის დათხოვნა, უკეთუ მან შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო ვერ შეასრულა თავისი საქმე, ორი კვირის განმავლობაში დღიდან უნარის დაკარგვისა.

შენიშვნა. იმ გარედან მოსიარულე შინა-მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულება, რომელმაც დროებით დაკარგა შრომის უნარი, მოიშლება არა ამა მუხლში გათვალისწინებული პირობების მიხედვით, არამედ შრომ. კან. კოდ. 47 მუხ. „ზ“ და 92 მუხ. თანახმად.

17. დათხოვნილ შინა-მოსამსახურეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან მისი დათხოვნისა ან ერთი თვის განმავლობაში დღიდან გაფრთხილებისა, უფლება აქვს იცხოვროს იმ ბინაზე, რომელიც მას ჰქონდა დამქირავებელთან. ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი მოვალეა გაანთავისუფლოს ბინა.

შენიშვნა. ეს მუხლი არ გავრცელდება იმ შინა-მოსამსახურეზე, ვინც დათხოვნილია იმის გამო, რომ გამოცდის დროს უვარგისი გამოდგა სამუშაოსათვის (15 მ. „ე“ პ.).

18. შინა-მოსამსახურე ქალის მიღება დედათა და ბავშვთა სახლში ორსულობის დროს და მშობიარობის შემდეგ, აგრეთვე დაავადებული შინა-მოსამსახურისა საავადმყოფოში, სავალდებულოა და მოხდება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ, საქართველოს შრომის სახ. კომისარიატთან და საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით, გამოცემულ ინსტრუქციაში აღნიშნული წესისამებრ.

შენიშვნა. გარედან მოსიარულე შინა-მოსამსახურე მიიღება ჯანმრთელობის სახ. კომ. დაწესებულებებში საერთო საფუძველზე.

19. უკეთუ დამქირავებელი გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს და მას თან წაჰყვება შინა-მოსამსახურე, მგზავრობით გამოწვეული ხარჯი დაეკისრება დამქირავებელს.

20. შინა-მოსამსახურეს სპეციალური ტანსაცმელი ეძლევა დადებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, ხოლო არა უმცირეს იმ ნორმისა, რაც შრომის სახ. კომისარიატის მიერ არის დაწესებული. სპეციალური ტანსაცმელის მიცემა დამქირავებელმა უნდა აღნიშნოს ანგარიშგასწორების წიგნაკში.

21. შინა-მოსამსახურე დაზღვეულ უნდა იქნეს სოციალური დაზღვევის ორგანოებში იმ წესით, რაც აღნიშნულია სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1925 წლის სექტემბრის 25-ს დადგენილებაში „შინამეურნეობაში დამქირავებულ პირთა სოცდაზღვევის შესახებ“.

22. კონფლიქტი დამქირავებელსა და შინა-მოსამსახურის შორის გადასწყვედება შემრიგებელ-სამედიატორო ან სასამართლო წესით (საოლქო სასამართლოს შრომის სესიაში ან საერთო სასამართლო დაწესებულებაში).

დამქირავებელსა და შინა-მოსამსახურის შორის კონფლიქტის განსახილველად შრომის ინსპექტორის კამერასთან, მხარეთა შეთანხმებით, მოეწყობა მომრიგებელი კომისია.

უკეთეს რომელიმე მხარე თანახმა არ იქნება საქმე მომრიგებელ კომისიაში იქნეს გადაწყვეტილი, დავას გადაწყვეტს სახალხო სასამართლო (ან შრომის სასამართლო, სადაც იგი არსებობს).

მომრიგებელი კომისიის თავმჯდომარე არის შრომის ინსპექტორი, შინა-მოსამსახურის მხრით—მისი რწმუნებული ან სახ. კვების კავშირი, დამქირავებლის მხრით—თვით დამქირავებელი ან მისი რწმუნებული.

თავმჯდომარეს მინიჭებული აქვს სათათბირო ხმის უფლება. გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. უკეთეს მხარენი ვერ შესთანხმდებიან, საქმე გადაეცემა სახალხო ან შრომის სასამართლოს.

23. ბათილია ის შეთანხმება შინა-მოსამსახურის შრომის პირობების შესახებ, რაც აუარესებს ამ პირობებს ამა დადგენილებით და შრომის საერთო კანონმდებლობის იმ ნაწილით დაწესებულ პირობებთან შედარებით, რაც შინა-მოსამსახურით შეეხება.

24. ამა დადგენილების შემოღების შემდეგ შინა-მოსამსახურებზე აღარ გავრცელდება შრომის კანონთა კოდექსის 29, 44, 47, 56, 60, 61, 64, 70, 76, 82, 83, 87, 90, 92, 96, 113, 130, 131, 168—174 მუხ.

შენიშვნა. გარედან მოსიარულე შინა-მოსამსახურებზე ვრცელდება შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „ზ“ პ. და 92 მუხ.

25. ამა დადგენილების წესები არ გავრცელდება სოფლის მეურნეობაში დაქირავებით მომუშავე შინა-მოსამსახურებზე, რომელთა შრომის პირობებიც განსაზღვრულია „დროებით წესებით სოფლის მეურნეობაში დაქირავებული ხელისშემწყო შრომის პირობების შესახებ“ (მომქმედი შრომის კანონთა კრებული 1926 წლ. გვ. 26).

26. ამა დადგენილების გამოქვეყნებისათანავე ძალას ჰკარგავს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ყველა ის სავალდებულო დადგენილება, რაც შინა-მოსამსახურეთა შრომის პირობებს შეეხება.

27. თვალყურის დევნება ამა დადგენილების ასრულებისათვის დაეკისრება საქართველოს სსრ შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებს და პროკურატურის ორგანოებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრაია.**

1927 წ. თებერვლის 17.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-59 №-ში 1927 წ. მარტის 16.

23. დადგენილება № 16 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების ექსპლოატაციის მოწესრიგებისა და მათი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

მუნიციპალური საბინაო ფონდის ექსპლოატაციის მოსაწესრიგებლად და მისი დაცვისათვის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ და შემოიღონ სამოქმედოდ არა უგვიანეს ა. წ. აპრილის 1-სა სახლების სავასაელო ბიუჯეტის უკიდურესი ნორმები იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (ამა დადგენილების მე-4 მუხლი) სახლის მფლობელობის ხარჯების დანორმების შესახებ, ამასთანავე აღნიშნული ინსტრუქციაში გათვალისწინებული ნორმები ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიძლება გადიდებულ ან შემცირებულ იქნეს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

2. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს თვალყურის ადევნონ, რათა მუნიციპალურ საბინაო ფონდის სახსარი, — როგორც კომუნალურ ორგანოთა უშუალო გამგებლობაში ქონებული სახლების საბინაო ქირისა, ისე საბინაო-საიჯარო კოოპერატივთა, საბინაო ამხანაგობათა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძო პირთათვის გადაცემული შენობების საიჯარო ქირის სახით — წესიერად შემოდიოდეს და დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს.

3. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს მოახდინონ მუნიციპალური სახლების ინვენტარიზაცია.

4. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს და დაგზავნოს სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია მუნიციპალურ სახლის მფლობელობის ხარჯების დანორმების შესახებ.

5. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა საბინაო-საიჯარო კოოპერატივთა და საბინაო ამხანაგობათა გაძლიერების შესახებ, რისთვისაც საიჯარო კოოპერატივისა და საბინაო ამხანაგობის სახლში მცხოვრებ არა-წევრზე გავრცელებულ უნდა იქნეს ის ვალდებულება და ხარჯი, რაც დაკისრებული აქვს წევრს.

6. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ერთი თვის განმავლობაში წარუდგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა მუნიციპალური საბინაო ფონდისა და აგრეთვე ახლად აგებულ სახლების ექსპლოატაციის წესის შესახებ, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნეს სახლების დაცვა, სახლის ასაგებად აღებული სესხის წესიერად და თავის დროზე გადახდა

და აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს სახლების ამგებ საწარმოთა და დაწესებულებათათვის ამ სახლებში მცხოვრებთა დასახლებისა და საცხოვრებელი სივრცის გამგებლობის უფლება.

7. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად, წარუდგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა ყოველგვარი სახლის სამოურაოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სახლის მტაცებლურ და უყაირათო მართვა-გამგებლობისათვის და აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც სახლის სამოურაოს პასუხისმგებლობა ნამდვილად განხორციელებულ იქნება.

8. საჭიროდ იქნეს ცნობილი საბინაო კოოპერატივებში და საბინაო ამხანაგობებში პროლეტარული ნაწილის მნიშვნელობისა და მისი ხელმძღვანელობითი როლის სათანადოდ გაძლიერება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1927 წ. თებერვლის 17.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-№ 53 1927 წ. მარტის 7.

24. დადგენილება № 17 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების
დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: დამტკიცებულ და 1927 წლ. იანვრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1927 წ. თებერვლის 18.
ტფილისი—სასახლე:



დ ე გ უ ლ ე ბ ა

სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ.

რათა განხორციელებულ იქნას მშრომელთა ფართო მასების ზედამხედველობა სათემო ბიუჯეტების აღსრულების და ადგილობრივ სახსართა მიზანშეწონილად, წესიერად და ეკონომიურად გამოყენების სფეროში, — სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდებიან სარევიზიო კომისიები შემდეგ საფუძველზე:

1. სარევიზიო კომისია არჩეულ უნდა იქნეს სათემო საბჭოს საარჩევნო კრებაზე (ხოლო იმ რაიონში, სადაც სასოფლო საბჭოები მოქმედობენ, სასოფლო საბჭოების სათემო ყრილობაზე) 3 პირისა და ორი მათი კანდიდატის შედგენილობით, ვადით საბჭოთა შემდეგ მორიგ არჩევნებამდე. სარევიზიო კომისიის წევრად და კანდიდატად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს.

შენიშვნა. უკეთეს სათემო საბჭოს არჩევნები რამდენსამე საარჩევნო უბანში მოხდება, სარევიზიო კომისიის წევრად დასახელებული პირის კანდიდატურა განცხადებულ უნდა იქნეს ყველა საარჩევნო უბანში, ამასთანავე არჩეულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ხმათა უმეტესობას მიიღებს, ხოლო არა ნაკლებ ყველა საარჩევნო უბანში მონაწილე მოქალაქეების მიერ მიცემულ ხმათა რიცხვის ნახევარისა.

2. სათემო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და მისი კანდიდატი, აგრეთვე ის პირი, რომელსაც სათემო აღმასრულებელ კომიტეტში პასუხსაგები თანამდებობა ეჭირა, შეიძლება არჩეულ იქნეს სარევიზიო კომისიის წევრად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს გასულია არა ნაკლებ ერთი წლისა, რაც იგი სათემო აღმასკომის შედგენილობიდან გამოვიდა ან ამ აღმასკომში მან პასუხსაგები თანამდებობა დასტოვა.

3. სარევიზიო კომისია თავმჯდომარეს თავის შედგენილობიდან აირჩევს; სარევიზიო კომისიას განსაკუთრებული სამუშაო აპარატი არა ჰყავს და საჭირო შემთხვევაში სათემო აღმასკომის აპარატს გამოიყენებს.

4. სარევიზიო კომისია დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად გამოარკვევს რაოდენი სისწორით იყო გამოყენებული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარი და იყო თუ არა იგი შეთანხმებული დამტკიცებულ ბიუჯეტთან და სათემო საბჭოს (საბჭოების სათემო ყრილობის) მიერ სათემო აღმასრულებელი კომიტეტისათვის მიცემულ დირექტივებთან; იგი განიხილავს, თუ რამდენად მიზანშეწონილი ან სასარგებლოა ესა თუ ის წარმოებული სამეურნეო ოპერაცია და შეამოწმებს, რამდენად დაცულია სათემო აღმ. კომიტეტის განკარგულებაში ქონებული ფულადი და მატერიალური სახსარი.

5. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს: ა) შეამოწმოს სათემო აღმასკომის გამგებლობაში ქონებული თანხები, მასალები და ქონება და აგრეთვე მის მიერ წარმოებული სააღმშენებლო, დამზადებითი და სხვა სამეურნეო ოპერაციები; ბ) წარავლინოს კომისიის წევრები სათემო აღმ. კომიტეტის გამგებლობაში მყოფ

დაწესებულებათა და საწარმოთა დასათვალისწინებლად და მდგომარეობის გამო-სარკვევად და აგრეთვე ამ დაწესებულებათა და საწარმოთა დავთრებიდან და დოკუმენტებიდან საჭირო ცნობების ამოსარკვევად; გ) დაათვალისწინოს სათემო აღმ. კომიტეტისა და მისი ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა დავთრები, ანგარიშები, დოკუმენტები და საქმეები, რაც-კი ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას ეხება (და დ) უკეთუ საჭიროება მოითხოვს, მიიწვიოს ანგარიშების შემდგენელი პირები და სხვა ანგარიშვალდებული პირები რევიზიის წარმოების დროს აღძრული საკითხების ახსნა-განმარტებისათვის.

6. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა მისცეს სარევიზიო კომისიას სრული შესაძლებლობა, რათა მან გამოარკვიოს ადგილობრივი სახსრის სისწორით და მიზანშეწონილობით გამოყენება, როგორც აღმ. კომიტეტის გამგებლობაში მყოფი დაწესებულებისა და მასალებისა და ქონების პირადი დათვალისწინებით, ისე სათემო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულების ანგარიშ-წარმოებისა და ანგარიშგების შემოწმებით.

7. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს, სამაზრო საფინანსო განყოფილების თანხმობით, თავისი მოქმედების რაიონის ფარგლებში გამოიკვლიონ სამაზრო ბიუჯეტზე მყოფი ყველა დაწესებულების მდგომარეობა და აგრეთვე ამ ბიუჯეტის ხარჯით წარმოებული ყველა სააღმშენებლო, დამზადებითი და სხვა სამეურნეო ოპერაციები. თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ ხარჯის მიზანშეუწონლობისა ან ზარალიანობის შესახებ სარევიზიო კომისია აცნობებს სათანადო სამაზრო აღმ. კომიტეტს და სამაზრო საფინანსო განყოფილებას საფინანსო კონტროლის ხაზით.

8. სარევიზიო კომისია წარუდგენს სათემო აღმ. კომიტეტს, ხოლო ისე, რომ მის განკარგულებაში არ ჩაერევა, თავისი სარევიზიო მუშაობისა და გამოკვლევის შედეგების მიხედვით, თავის შენიშვნებს ამა თუ იმ ოპერაციისა ან გაწეული ხარჯის მიზანშეუწონლობისა ან და ზარალიანობის შესახებ; ხოლო, უკეთუ სათემო აღმ. კომიტეტი სარევიზიო კომისიის შენიშვნებს არ დაეთანხმება,—სარევიზიო კომისია სათემო აღმასკომის მოქმედებას აცნობებს სათანადო სამაზრო აღმ. კომიტეტს და სამაზრო საფინანსო განყოფილებას საფინანსო კონტროლის ხაზით.

9. სათემო ბიუჯეტის არა სისწორით, მიზანშეუწონლად და ზარალით შესრულების შესახებ სარევიზიო კომისია მოახსენებს სათემო აღმასკომის გაფართოებულ სხდომას. უკეთუ სარევიზიო კომისია არ დაეთანხმება მის მოხსენების გამო სათემო აღმ. კომიტეტის გაფართოებული სხდომის მიერ გამოტანილ დადგენილებას, ეს დადგენილება მას შეუძლიან განასაჩივროს აღმასრულებელ კომიტეტში.

ასლი სათემო აღმ. კომიტეტის ყველა სხდომის ოქმისა, რაც-კი სარევიზიო კომისიის მოხსენებებისა და წინადადების უარყოფას ეხება,—წარდგენილ უნდა იქნეს სამაზრო საფინანსო განყოფილებაში.

10. სარევიზიო კომისიის წევრი ან მისი კანტიდატი, უკეთუ ეს უკანასკნელი კომისიის წევრის მაგიერობას ეწევა, მიიღებს მის მიერ შესრულებულ სა-

მუშაოსათვის დღიურ გასამრჯელოს ნამუშევარი დღეების რიცხვის მიხედვით და იმ განაკვეთით, რაც დაწესებულია ადგილობრივი სათემო აღმ. კომიტეტის წევრისათვის, ხოლო თვითეულ თვეში არა უმეტეს 3 დღის გასამრჯელოს. უკეთუ საჭიროა ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა სარევიზიოდ გამგზავრება, იგი საამისოდ გამოიყენებს სათემო აღმ. კომიტეტის განკარგულებაში ქონებულ მიმოსვლის საშუალებას. სარევიზიო კომისიის წევრთა შრომის სასყიდლისათვის საჭირო ხარჯი მიეკუთვნება სათემო ბიუჯეტს და გაწეულ უნდა იქნას ამ ბიუჯეტის სათანადო ასიგნების ფარგლებში.

11. ხელისუფლების ყველა ორგანომ და დაწესებულებამ უნდა გაუწიოს სარევიზიო კომისიას სრული დახმარება დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარევიზიო კომისიების დასახმარებლად სამაზრო აღმ. კომიტეტი წარავლინებს მცოდნე პირებს სამაზრო საფინანსო განყოფილების თანამშრომელთაგან. სამაზრო საფინანსო განყოფილებას დაეკისრება აგრეთვე გაუწიოს სარევიზიო კომისიებს უშუალო მეთვალყურეობა და ინსტრუქტიობა საფინანსო კონტროლის ხაზით.

12. სათემო აღმ. კომიტეტის ქონების ფაქტიურ რევიზიაში და მისი მეურნეობის მდგომარეობისა, ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების გამოკვლევაში, რაც საფინანსო კონტროლის ორგანოთა ინიციატივით მოხდება, მონაწილეობა უნდა მიიღოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სარევიზიო კომისიის ერთმა წევრმა ან კანდიდატმა მაინც.

13. სარევიზიო კომისია მოვალეა დაამთავროს მთელი საბიუჯეტო წლის რევიზია არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის მომდევნო მესამე თვის პირველი რიცხვისა.

14. ადგილობრივ ბიუჯეტის შესრულებასა და მეურნეობის გაძღოლის საქმეში შენიშნულ ნაკლულოვანებათ სარევიზიო კომისია მოახსენებს სათემო საბჭოს (ან საბჭოთა სათემო ყრილობას), რომელსაც წარუდგენს აგრეთვე თავის მოსაზრებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც შემჩნეულ შეცდომებსა და ნაკლულოვანებას გამოასწორებს. სარევიზიო კომისია მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ წარუდგენს აგრეთვე გლეხთა ფართო კონფერენციებს.

15. სათემო სარევიზიო კომისია პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის სათემო საბჭოს (საბჭოთა სათემო ყრილობის) წინაშე.

16. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სამაზრო და რესპუბლიკანური ორგანოს განკარგულებით თემის ფარგლებში მყოფი სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს რევიზიის მოსახდენად მივლინებული საამისოდ უფლებამოსილი პირი, თემში მისვლისთანავე, ვალდებულია აცნობოს სათემო სარევიზიო კომისიას მისთვის დაკისრებული მოვალეობა და კომისიას უფლება ეძლევა თავისი შედგენილობიდან დანიშნოს წევრები მივლინებული თანამშრომლის მიერ წარმოებულ რევიზიაში მონაწილეობის მისაღებად.

17. სარევიზიო კომისიის მოქმედების წესი და ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებისათვის თვალყურისდევნების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებითა და განკარგულებით.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-49 №-ში 1927 წ. მარტის 3.

25. დადგენილება № 18 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის რედაქცია შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 100. უბრალო კონტრაბანდა, ე. ი. სახელმწიფოს საზღვრით საქონლისა, ფასეულობისა, ქონებისა და ყოველგვარი საგნის გატან-შემოტანა საბაჟო დაწესებულების გარეშე ან, თუმცა საბაჟოში გატარებით, ხოლო საბაჟოს კონტროლისაგან დამალვით, გამოიწვევს

კონტრაბანდული საქონლის კონფისკაციასა და ჯარიმას, რაც დადებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით საბაჟოს წესდების 262 მუხლისამებრ, ხოლო განმეორება, ამას გარდა—

ადმინისტრატიული წესით გადასახლებას სახელმწიფოს საზღვრიდან 50 კილომეტრით მაინც.

კვალიფიციური კონტრაბანდა, რაც ჩაითვლება:

ა) საქონლის კონტრაბანდული გატან-შემოტანა საბაჟო დაწესებულების გარეშე სპეციალური, საამისოდ დანიშნული სატრანსპორტო საშუალებით;

ბ) საქონლის კონტრაბანდული გატან-შემოტანის დროს. დამალვა სპეციალურად საამისოდ მოწყობილ საცავში;

გ) საქონლის კონტრაბანდული გატან-შემოტანა ყალბი საბაჟო დოკუმენტით, სხვა საქონლის დოკუმენტით, ყალბი საბაჟო ნიშნის (ან დაღის) დასმით, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივი მოქმედებით, რაც მიმართულ იქნება საქონლის კონტრაბანდული გატანა-შემოტანისათვის;

დ) მონაწილეობა იმ ორგანიზაციაში, რომელიც სპეციალურად კონტრაბანდას ეწევა;

ე) შეიარაღებული კონტრაბანდა;

ვ) საკონტრაბანდო მოქმედება იმ თანამდებობის პირისა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს საბაჟო საქმესთან;

ზ) ორჯერზე მეტი კონტრაბანდა, აგრეთვე კონტრაბანდული საქონლის შენახვა ან ვაჭრობა ხელობის სახით;

თ) კონტრაბანდა ასაფეთქებელი ნივთიერებისა, სამხედრო საჭურველისა, საფრენი აპარატისა, ტელეგრაფისა და რადიო-ტელეგრაფის ქონებისა და გაბათილებული სარგებლიანი ქალაქებისა, გამოიწვევს—საბაჟო წესდების 262 მუხ. აღნიშნულ შედეგის გარდა—თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი

წლისა სასტიკი იზოლაციით და სპეციალური საკონტრაბანდო იარაღისა, სატრანსპორტო საშუალებათა და ქონების ნაწილის ქონფისკაციას, ხოლო თუ დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებაში, სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება აწეულ იქნეს უმაღლეს ღონისძიებამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრაია.**

1927 წ. თებერვლის 21.

ტფილისი—სასახლე.

26. დადგენილება № 19 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწ. რედაქციის შეცვლის შეხახვ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღით და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწილის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 103 მე-2 ნაწ. განადგურება, გაფუჭება, ამოღება ან სხვა ადგილას გადატანა დროებითი ან სამუდამო სამიჯნაო ნიშნისა, რაც დადგმულია მიწათმოწყობის დროს, ან იმ ნიშნისა, რაც სამთა-მადნო მიზნისათვის დადგმული იქნება როგორც მიწის ზედაპირზე, ისე მიწის წიაღში, ტაოზგრაფიული, გეოდეზიური და სამარკვეიდერო მუშაობის დროს, და აგრეთვე ახალი ნიშნის თვითნებისად დადგმა იქ, სადაც ის არ უნდა იდგეს, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას 50 მანეთამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრაია.**

1927 წ. თებერვლის 21.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტი“-ს მე-50 №-ში 1927 წ. მარტის 4.

27. დადგენილება № 20 ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 231¹ მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 231¹ მუხლის რედაქცია შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 231¹. კერძო სარგებლობის რადიო-სადგურის გამოყენება არა დანიშნულებისამებრ ან და მიღებულ ნებართვაში აღნიშნულ პირობათა ან იმ წესების დარღვევით, რაც შემოღებულია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ორგანოთა მიერ გასაწევი კონტროლისათვის, გამოიწვევს

ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელი ან გადასახდევინებელი წლიური სააბონიმენტო სასყიდლის ხუთჯერ გადიდებული რაოდენობისა.

ასეთი სადგურის მოწყობა სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე ან სადგურით სარგებლობა სააბონიმენტო სასყიდლის გადაუხდელად გამოიწვევს აღნიშნული რაოდენობის ჯარიმას, რაც დადებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. თებერვლის 21.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ მე-51 №-ში 1927 წ. მარტის 5.

28. დადგენილება № 21 ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 203¹ მუხ. მე-2 ნაწ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:



I.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხ. რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 202. განზრახი განადგურება ან დაზიანება სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ კერძო პირის ქონებისა, მათ შორის ელექტროგამტარისა, კავშირგაბმულობის საშუალებისა და სხვ., გამოიწვევს—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, უკეთუ იგი რამდენჯერმეა ჩადენილი ან უკეთუ მას შედეგად მოჰყვა წარმოების შეჩერება თუ შეწყვეტა ან სახელმწიფოსათვის სხვა რამ მძიმე ზიანის მიყენება, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

II.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლ. სამ. კოდექსს დამატოს 203¹ მუხ. მე-2 ნაწილ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 203¹ ნაწ. 2. უკეთუ ელექტროგამტარის გაუფრთხილებლობით დაზიანებას შედეგად მოჰყვა მისი შეჩერება ან მოქმედების შეწყვეტა და ეს დაზიანება გამოწვეული იყო გამართულობის შეცდომების შეგნებული შეუსრულებლობით,

სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება აწეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე ვადით არა უმეტეს ერთის წლისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. თებერვლის 21

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-56 №-ში 1927 წ. მარტის 11.

29. დადგენილება № 22 ც. ა. ძ.

მთავარი სატერმინოლოგიო კომისიისა და ცენტრალური საეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველი დარგის ტერმინოლოგიის განსახილველად და მისადებად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღ-

მასრულებელ კომიტეტთან დაარსებულ იქნეს მთავარი სატერმინოლოგიო კომისია.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მთავარი სატერმინოლოგიო კომისია მოწყობილ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ანხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით და შემდეგ პირთა შედგენილობით: მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, სილვა თოდრია, მალაქია ტოროშელიძე, დავით კანდელაკი, მარია ორახელაშვილი, თედო ღლონტი, ბესარიონ ჭიჭინაძე, არჩილ მიქაძე, პაულე საყვარელიძე, ვუკოლ ბერიძე და ევგენი გამრეკელი.

3. მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველი დარგის ტერმინოლოგიის შესამუშავებლად და განსახილველად განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსებულ იქნეს ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომლის მოწყობაც დაევალოს სახალხო განათლების კომისარს.

4. ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ შემუშავებული და მიღებული ტერმინოლოგია საბოლოო დადასტურებისა და განხორციელებისათვის წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მთავარ სატერმინოლოგიო კომისიას.

5. არავითარი სხვა ტერმინოლოგია, რაც-კი შემოსენებული წესის გარეშე იქნება შემუშავებული, არ შეიძლება მიღებულ იქნეს სავალდებულო სახმარებლად.

6. დაევალოს ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტს ხელახლა გადაათვალიეროს მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველ დარგში სახმარებლად უკვე მიღებული ტერმინოლოგია და სათანადო მოხსენება წარუდგინოს მთავარ სატერმინოლოგიო კომისიას.

7. დამტკიცებულ და სამოქმედოდ მიღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. თებერვლის 26.

ტფილისი—სასახლე.

დებულება

სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის შესახებ.

1. მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველი დარგის სათანადო ტერმინოლოგიის შესამუშავებლად სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული სამეც-

ნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტიდან გამოიყოფა სექციები და ქვესექციები მეცნიერებისა და ტექნიკის ძირითად დარგთა მიხედვით:

1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექცია შემდეგი ქვესექციებით:

- ა) ეკონომიური დარგები (ეკონომიკა, ფინანსები, სტატისტიკა),
- ბ) ისტორიულ-სოციალური დარგები (ისტორია-არქეოლოგია, სოციალოგია, შრომის ისტორია, მუშათა მოძრაობის ისტორია, კომპარტიის ისტორია),
- გ) იურიდიული დარგები (ყველა იურიდიული დისციპლინა, პოლიტიკანბანი, საბჭოთა აღმშენებლობა, კანონმდებლობა).

2. საენათმეცნიერო-სალიტერატურო სექცია.

3. ფიზიკურ-მათემატიკური სექცია შემდეგი ქვესექციებით:

- ა) მათემატიკა და თეორიული მექანიკა,
- ბ) ფიზიკა,
- გ) ქიმიკა.

4. ტექნიკური სექცია შემდეგი ქვესექციებით:

- ა) მექანიკა,
- ბ) აღმშენებლობა,
- გ) ქიმიური ტექნოლოგია,
- დ) სამთამადნო,
- ე) რკ. გზის საექსპლოატაციო,
- ვ) სამეურნეო-აგრონომიულ-ეკონომიური.

5. ბიოლოგიურ დარგთა სექცია შემდეგი ქვესექციებით:

- ა) ბიოლოგიურ-აგრონომიული (ბოტანიკა, ზოოლოგია, მინერალოგია, ქიმიკა),
- ბ) გეოლოგიური,
- გ) გეოგრაფიული.

6. პედაგოგიური (პედაგოგიკა, პედოლოგია, ფსიქოლოგია, პედაგოგიურ მოძღვრებათა ისტორია).

7. ხელოვნების სექცია შემდეგი ქვესექციებით:

- ა) სამუსიკო,
- ბ) სათეატრო (ოპერა, დრამა, კინო),
- გ) სამხატვრო (მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, ფოტოგრაფია).

2. თითოეულ სექციას შეადგენენ სათანადო დარგის სპეციალისტები, კომიტეტის ერთ-ერთი წევრის თავმჯდომარეობით.

3. სექციებში შემუშავებული ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია განსახილველად და მისაღებად ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტს წარედგინება.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-49 №-ში 1927 წ. მარტის 3.

30. დადგენილება № 23 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივა განყოფილებებისათვის განკორწინების საქმეების გადაცემის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის XXV თავის—განკორწინება (220—225 მუხ.)—გასაუქმებლად ყველა საქმე განკორწინების შესახებ გადაეცეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ განყოფილებას, რომელმაც ეს საქმეები უნდა განიხილოს შემდეგი წესით:

1. განცხადება განკორწინების შესახებ შეიტანება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ განყოფილებაში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. განმცხადებელი წარადგენს კორწინების დოკუმენტს ან მისცემს ხელწერილს, რომ იგი დაქორწინებულია.

3. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება განცხადებას განკორწინების შესახებ განიხილავს მხარეთა დაბარებით, ხოლო, უკეთეს მეთოდს მხარის საცხოვრებელი ადგილი განმცხადებელმა არ იცის, ჩამწერი განყოფილება გამოაკრავს თავის სადგომში განცხადებას საქმის განხილვის დღის შესახებ; ამასთანავე საქმის განხილვა არ შეიძლება დაინიშნოს ორი კვირაზე აღრე დღიდან განცხადების გამოკვრისა. მხარეთა გამოუცხადებლობა საქმის განხილვას ვერ შეაჩერებს.

4. მეუღლეთა შეთანხმება იმის თაობაზე, თუ მათ შორის ვისთან და, სახელდობრ, რომელი შვილი დარჩება აღსაზრდელად და ვინ და რამდენს გაიღებს შვილების შესანახად და აღსაზრდელად, აგრეთვე შეთანხმება გაქორციელებული შრომისუუნარო მეუღლისათვის მისაცემი სარჩოს რაოდენობის თაობაზე, ჩაიწერება განსაკუთრებულ ოქმში, რასაც შეთანხმების მონაწილენი ხელს მოაწერენ.

5. მხარეთა შეთანხმება სარჩოს რაოდენობის შესახებ აღსრულებულ იქნება სასამართლოს ბრძანებით, რასაც სახალხო მოსამართლე გასცემს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210—216 მუხლ. განსაზღვრული წესებისამებრ.

6. შეთანხმება სარჩოს რაოდენობის შესახებ არ ართმევს ამა თუ იმ მხარეს და შვილებს უფლებას—მოითხოვონ შემდეგში, სარჩელისათვის დადგენილი საერთო წესისამებრ, სარჩოს რაოდენობის შეცვლა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 თებერვლის 27.
 ტფილისი—სასახლე.

31. დადგენილება № 24 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადგილობრივი საბჭოების მიერ სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების უმალესი უკიდურესი ზედნართების დაწესებისა და, ადგილობრივი სახსარის გასაძლიერებლად, მათთვის საერთო-სახელმწიფო გადასახადებით დაუზღვრავ ობიექტებზე ზოგიერთი დამატებითი გადასახადისა და გამოსაღების დაწესებისა და გადახდევინების უფლების მინიჭების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ 1926—1927 საბიუჯეტო წლისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტის აგების შესახებ 1926 წლის ივნისის 16-ს მიღებული რეზოლიუციის მე-17 მუხ. თანახმად და ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა. კ. სფსრ კან. კრებ. 1926 წ. მე-8 №-რი მუხ. 697) 57 მუხ. საფუძველზე,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს დააწესონ და გადაახდევინონ 1926—1927 საბიუჯეტო წელში ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 24 და 26 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების ზედნართები ამა მუხლებში აღნიშნული უმალესი უკიდურესი რაოდენობით.

2. ნება დაერთოს ადგილობრივ საბჭოებს დააწესონ და გადაახდევინონ 1926—1927 საბიუჯეტო წელში ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებით გათვალისწინებელი ყველა ის ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, რასაც ისინი ახდევინებდენ გასულ 1925—1926 საბიუჯეტო წლის განმავლობაში და რაც აღნიშნულია ამასთანავე დართულ ნუსხაში.

3. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოიტანონ დადგენილებანი—ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებებს 24, 26 და 27 მუხლით გათვალისწინებული ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისა, საერთო-სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების ზედნართებისა და აგრეთვე ამასთანავე დართულ ნუსხაში აღნიშნული ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების დაწესებისა და გადახდევინების შესახებ.

4. ამა დადგენილების მე-2 მუხ. გათვალისწინებული ღონისძიება ეცნობოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სსსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. თებერვლის 27.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-55 №-ში 1927 წ. მარტის 10.

32. დადგენილება № 25 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23, 174, 191, 192, 199, 199⁷, 200, 210 და 226—230 მუხ. შეცვლისა და 220—225 მუხ. გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის თანხმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

I

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23, 174, 191, 192, 199, 199⁷, 200, 210 და 226—230 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. მუხ 23. სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად განიხილავს: საქმეს ყველა იმ სარჩელის გამო, რის ფასიც 100 მან. არ აღემატება, საქმეს წინახედის შესახებ, როდესაც ზარალი 15 მანეთს აღემატება, საქმეს აქტების გამო სასამართლო ბრძანების გაცემის შესახებ, თხოვნას დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის შესახებ და განსაკუთრებული წესით საწარმოებელ საქმეს, გარდა ოლქის სასამართლოს ქვემდებარე საქმისა—სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ (226—230 მუხ.) და აგრეთვე ნოტარიუსის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის გამო აღძრული საქმისა (231—234 მუხ.).

2. მუხ. 174. გადაწყვეტილება ყველა საქმეზე, გარდა იმ საქმისა, რასაც სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად განიხილავს, დადგენილ უნდა იქნეს ხმის უმეტესობით. არც ერთ მოსამართლეს არ შეუძლიან ხმის მიცემაზე თავი შეიკავოს. ყოველ მოსამართლეს უფლება აქვს დაურთოს საქმეს თავისი განსაკუთრებული აზრი.

3. მუხ. 191. განსაკუთრებული წესით იწარმოება საქმე:

- ა) გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონების შესახებ;
- ბ) სამედიკატორო წერილისა და გადაწყვეტილების შესახებ;
- გ) ვალდებულების საგნის სასამართლოში შეტანის (დეპოზიტი) შესახებ;
- დ) აქტების გამო სასამართლო ბრძანების გაცემის შესახებ;
- ე) სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ;

ზ) ნოტარიუსის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის შესახებ.

4. მუხ. 192. განსაკუთრებული წესით საწარმოებელ საქმეს, გარდა ოლქის სასამართლოს ქვემდებარე საქმისა სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენით განთავისუფლებისა და ნოტარიუსის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის შესახებ, განიხილავს ერთპიროვნად სახალხო მოსამართლე საჯარო სამსჯავრო სხდომაზე, თანაც ყველა ამ საქმეზე, გარდა აქტების გამო სასამართლოს ბრძა-



ნების გაცემის შესახებ აღძრული საქმისა, საქიროებისა და მიხედვით, შეამოწმებს დამამტკიცებელ საბუთებს და დაიბარებს დაინტერესებულ პირებს.

5. **მუხ. 199.** მხარეთა შეთანხმება (სამედიატორო წერილი), რომ სამოქალაქო სამართლის ნიადგზე აღძრული მათი დავა განხილულ იქნეს სამედიატორო სასამართლოს მიერ, ბათილობის რიდით, წერილობით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. ეს შეთანხმება შესამოწმებლად წარედგინება თემის აღმასკომს, მაზრის აღმასკომს, სახალხო მოსამართლეს ან ნოტარიუსს.

შენიშვნა. სამედიატორო სასამართლოს არ შეიძლება გადაეცეს გადასაწყვეტად ისეთი დავა, რაც ექვემდებარება სპეციალურ სასამართლოს ან დაწესებულებას, აგრეთვე ისეთი საქმე, რაც მცირეწლოვანისა და, საერთოდ, მეურვეობაში მყოფი პირის ინტერესებთან ან და სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს ინტერესებთან არის დაკავშირებული.

6. **მუხ. 199⁷.** იმ მონაწილეთ, რომელნიც შეთანხმდნენ, რომ მათი საქმე სამედიატორო სასამართლოში გაირჩეს, უფლება არა აქვთ სამედიატორო წერილით განსაზღვრული ვადის გასვლამდე უარი სთქვან ამაზე, ისეთი შემთხვევის გარდა, თუ ვინცოდაა მოდავე დამამტკიცებს, რომ რომელიმე მოსამართლე დაინტერესებულია საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტით და რომ ეს გარემოება მან, მოდავემ, სამედიატორო წერილზე ხელ-მოწერის დროს არ იცოდა. უკეთუ სამედიატორო წერილით საქმის დამთავრების ვადა განსაზღვრული არ არის, საქმე უნდა გაირჩეს და დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან სამედიატორო წერილის ქმნისა.

7. **მუხ. 200.** სამედიატორო სასამართლოში გასარჩევ საქმეზე სახალხო მოსამართლემ, აღსრულების ფურცლის გაცემისთანავე, უნდა გადაახდევინოს საერთოდ სარჩელისათვის დაწესებული ბაჟის ნახევარი.

შენიშვნა. 50 მანეთზე ნაკლები ფასის საქმეს სასამართლო ბაჟი არ გადახდება.

8. **მუხ. 210.** სასამართლოს ბრძანება გაიცემა ფულის გადახდევინებისა ან ქონების დაბრუნებისა თუ ვადაცემის მოთხოვნის გამო, რაც დამყარებულია:

ა) პროტესტქმნილ თამასუქზე;

ბ) იმ აქტზე, რომლის ქმნისა ან შემოწმებისათვის სავალდებულოა სანოტარო წესი, უკეთუ ეს უკანასკნელი დაცულია;

გ) სასამართლოს წესით მომხდარ ყოველგვარ შერიგებაზე, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში სარჩოს რაოდენობის შესახებ დადებულ შეთანხმებაზე;

დ) საკრედიტო დაწესებულების გარიგებაზე ანაბარისა, სესხისა და საკომისიო ოპერაციების გამო;

ე) სამუშაო ხელფასის ანგარიშგასწორების წიგნაკზე;

ვ) სახლებში წყლის საკონტროლო კომისიის მიერ შედგენილ ოქმზე, წყლის სარგებლობისათვის გადასახდელი სასყიდლის რაოდენობის შესახებ;

ზ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რაც დადებულია სახელმწიფო სავალდებულო ან საგადასაცემო დაზღვევის გამო, — უკეთუ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს სასარგებლოდ გადახდილი არ არის დაზღვევის პრემია;

თ) მომხმარებელ საზოგადოებებთან და მათ კავშირებთან ინდივიდუალური სასაქონლო კრედიტის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე, უკეთეს გადასახდევინებელია ვადაგადაცილებული გადასახდელი.

9. მუხ. 226. განცხადება სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ოლქის სასამართლოში.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმის დასამტკიცებელი საბუთი, რომ ის ოჯახი, სადაც განმცხადებელი დაიბადა და აღიზარდა, ეკუთვნის ისეთ სექტას, რომლის რელიგიური მოძღვრება უკრძალავს და უკრძალავდა 1917 წლამდე სამხედრო სამსახურის მოხდას იარაღით ხელში.

ამგვარი განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში არა უადრეს 2 წლისა და არა უგვიანეს ერთი წლისა ჯარში გაწვევის ვადამდე.

10. მუხ. 227. საქმე სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ განხილულ უნდა იქნეს სასამართლოში განმცხადებლის დაბარებით და პროკურატურის წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით. ამ გვარ საქმეზე წარმომადგენელთა მონაწილეობა არ შეიძლება.

11. მუხ. 228. სასამართლოს უფლება აქვს სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების საქმის განხილვის დროს მიიწვიოს ექსპერტები და აგრეთვე გამოითხოვოს, საქმის გარემოებათა მიხედვით, კომპეტენტურ დაწესებულებათა და პირთა დასკვნა.

12. მუხ. 229. ოლქის სასამართლოს დადგენილება შეიძლება განსაჩივრებული იქნეს საკასაციო წესით.

13. მუხ. 230. ასლი ოლქის სასამართლოს დადგენილებისა სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ მიეცემა იმას, ვისაც ეს დადგენილება შეეხება, სათანადო სამაზრო გამწვევ კომისიაში წარსადგენად.

II

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 220—225 მუხ. გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. თებერვლის 27.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-54 №-ში 1927 წ. მარტის 9.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

33. დადგენილება ს. კ. ს.

„სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადების“ წესების შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის ივნისის 23-ს თარიღის დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადების“ წესების („კომუნისტი“-ს 1603—1604 №-რი) შესაცვლელად და დასამატებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღნიშნული „წესებიდან“ ამოიშალოს მე-17 მუხლი.

2. დაემატოს აღნიშნულ წესებს მე-VI თავი „საიჯარო სასყიდლის გადახდევინების წესის შესახებ“ შემდეგ შინაარსის 22, 23, 24 და 25 მუხლებითურთ:

მუხ. 22. უკეთუ მოიჯარადრე თავს აარიდებს იჯარის ნებაყოფლობით გადახდას, საიჯარო სასყიდლისა და საურავის გადახდევინება ყოველგვარი სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამო დადებულ ხელშეკრულებით მოხდება „გადასახადთა გადახდევინების დებულებით“ დადგენილი წესისამებრ.

მუხ. 23. წინა მუხლში აღნიშნული წესითვე მოხდება გადახდევინება სასყიდლისა თვითნებითი, ე. ი. საადგილ-მამულო ორგანოების სათანადო ნებართვისა და წერილობითი ხელშეკრულების გარეშე, სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების სარგებლობისათვის.

მუხ. 24. ამა წესების 23 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში სასყიდელს სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების სარგებლობისათვის განსაზღვრავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მე-7 მუხლ. გათვალისწინებული წესის შეფარდებით, ამასთანავე ეს სასყიდელი განისაზღვრება ამა თუ იმ ადგილას არსებული საშუალო საიჯარო ფასების რაოდენობით.

მუხ. 25. ინსტრუქციებს ამა თავის შესაფარდებლად გამოსცემს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ალ. ხალარიძე.**

1927 წ. თებერვლის 2.

ტფილისი—სასახლე.



34. დადგენილება ს. ქ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი პროფესიონალურ დაავადებათა ლაბორატორიის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

რადგანაც პროფესიონალური დაავადებათა ლაბორატორიის მუშაობას აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა, არამედ მეცნიერულიც მით, რომ იგი აწარმოებს შრომის პირობების მშრომელთა ორგანიზმზე გავლენის შესწავლას და პროფესიონალურ ავადმყოფობათა გამოკვლევას, ამიტომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფ პროფესიონალურ დაავადებათა ლაბორატორიას ეწოდოს: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტი.

2. პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტის გამგეს ამიერიდან ეწოდოს დირექტორი.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. ხალარაძე.**

1927 წ. თებერვლის 16.
ტფილი ი—სასახლე.

35. დადგენილება ს. ქ. ს.

საქართველოს სსრ ფარგლებში მდებარე ავჭალა-ყარაიაზისა, გორისა, შორაპნისა, ბორჯომისა, სუმბათოვოსი, წადვერისა, ბაკურიანისა, ჭიათურისა, ქუთაისისა, ხილნალისა და თელავის სატყეოთა იმ ტყეების დაცვის შესახებ, რომელთაც დაცვითი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის რკინის გზებისათვის.

ა.კ. სუსრ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივლისის 20-ის დადგენილებისა და საქართველოს სსრ ტყის კოდექსის მე-IV კარის 41 და 42 მუხლების თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის რკინის გზის ხაზის ორივე მხრით მდებარე ტყეები, დაწყებული რკინის გზის ლიანდაგიდან, ვიდრე პირველ წყალგამყოფ ქედამდე, გამოცხადებულ იქნეს დაცვითი ტყეებად.

ა) მთავარი ხაზის მიმართულებით:

ა) ავქალა-ყარაიაზის სატყეოს ფარგლებში მტკვარზე ძეგვისა და დილო-მის ხიდებს შუა მდებარე ტყე—264—276 ვ.;

ბ) გორის სატყეო ფარგლებში ატენის ხეობაში მდინარე ტანის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით აღმოცენებული ტყეები და აგრეთვე ტყის ნაკვეთი „შავი-ტყე“ სოფ. ბობნევი-ბალოვანის რაიონში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მთის კალთებზე აღმოცენებული ტყე გორის სადგურთან (გორიჯვარის აგარაკის გამოსავალი—213—220 ვ.);

გ) შორაპნის სატყეოს ფარგლებში რკინის გზის მარჯვენა და მარცხენა მთის კალთები სურამის გვირაბიდან შორაპნის სადგურამდე, ამ რაიონში მდებარე ხეობებითა და ღელეებით—122—165 ვ.

შენიშვნა. ზემოაღნიშნულ ნაკვეთების საერთო სივრცე („ა“ „ბ“ „გ“ პუნქტ.) უდრის 18770 გექტარს ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

ბ) ცალკე შტოების მიმართულებით:

ა) ბორჯომისა და სუმბათოვოს სატყეოთა ფარგლებში ბორჯომის შტოს მიმართულებით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მთის კალთებზე აღმოცენებული ტყეები ამ რაიონში შემავალი ხეობებით და ღელეებით, მდ. მტკვარზე გადებულ ხიდიდან სადგ. ბორჯომამდე.

შენიშვნა. საერთო სივრცე 1310 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

ბ) ბაკურიანისა და წალვერის სატყეოთა ფარგლებში, ბაკურიანის შტოს მიმართულებით, მდ. შავი წყლის მარცხენა ნაპირის გაყოლებით მთის კალთებზე აღმოცენებული ტყეები ბორჯომის სადგურიდან წალვერის სადგურამდე და წალვერის სადგურიდან ცემის სადგურამდე ლიანდაგისაკენ დაშვებულნი ტყით დაფარული ალაგ-ალაგ მარჯვენა და ალაგ-ალაგ მარცხენა კალთები მთებისა; ცემის სადგურიდან ბაკურიანის სადგურამდე მთლად მთის კალთებზე აღმოცენებული ტყე რკინის გზის ხაზიდან ზევით წყალგამყოფ მთის გრებილამდე და რკინის გზის ხაზიდან ქვევით მთის ძირამდე.

შენიშვნა. საერთო სივრცე 2500 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

გ) ჭიათურის სატყეოს ფარგლებში ჭიათურის შტოს მიმართულებით მთების ორივე მხრის კალთებზე აღმოცენებული ტყეები ამ რაიონის ყველა ხეობითა და ღელეთი შორაპნის სადგურიდან 22 ვერსის ხილამდე და შემდეგ 22 ვერსის ხიდიდან ყველა ის ტყე, რაც კი შერჩენია მთის ალაგ-ალაგ მარცხენა და ალაგ-ალაგ მარჯვენა კალთებზე, რომლის გაყოლებითაც გზა მიმართება.

შენიშვნა. საერთო სივრცე 2180 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

დ) ქუთაისის სატყეო ფარგლებში, ტყიბულის შტოს მიმართულებით მთების ალაგ-ალაგ მარჯვენა და ალაგ-ალაგ მარცხენა კალთებზე აღმოცენებული ტყეები ამ რაიონის ყველა ხეობითა და ღელეთი, რაც რკინის გზის ხაზისაკენ არის დაშვებული მთლად შტოს სივრცეზე საწირის სადგურიდან ტყიბულის სადგურამდე და რითაც დაფარულია მთის კალთები არა მარტო რკინის გზის ხაზის ზევით წყალგამყოფ ქედამდე, არამედ ხაზის ქვევით მთის ძირამდე.

შენიშვნა. საერთო სივრცე 2500 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

ე) სიონალისა და თელავის სატყეოთა ფარგლებში კახეთის შტოს მიმართულებით მთების ორივე მხრივ კალთებზე აღმოცენებული ტყეები, ამ რაიონის ყველა ხეობით და ღელეთი, მელაანის სადგურსა და გურჯაანის სადგურ შუა და გურჯაან-თელავის რაიონში 111—112 ვ., 118 ვ., 119 ვ., 122—123 ვ., 127—129 ვ. მდებარე ტყეები.

შენიშვნა. საერთო სივრცე 6300 გექტარი ან რამდენიც ნატურად აღმოჩნდება.

2. 1-მუხლში აღნიშნული დაცვითი ტყის ნაკვეთებზე აკრძალულია:

ა) ტყის ყოველგვარი მოჭრა, გარდა ისეთისა, რაც საქროა თვით ტყის მოვლა-შენახვისათვის,

ბ) საქონლის ძავება,

გ) ცეცხლის დანთება, რა მიზნითაც უნდა იყოს,

დ) ჯირკვების ამოგდება, ხეებისათვის ქერქის აცლა, ხეების შემოკვერა, სასინჯის აღება და ყოველგვარი დაზიანება.

3. 1-მუხლში აღნიშნული დაცვითი ტყის ნაკვეთებზე ქვისა, ქვიშისა და სხვა რამის ამოღება და აგრეთვე მიწის წიაღის ყოველგვარი დამუშავება, გარდა კანონიერად მომქმედ მაღაროებისა და კარიერებისა, შეიძლება მარტოდონ ხელისუფლების სათანადო ორგანოების განსაკუთრებული ნებართვით (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა ან სამთა სამართველოსი—კუთვნილები-სამებრ).

3. ზემოაღნიშნული დაცვითი ტყეების ფარგლებში არსებული და კანონიერად მომქმედი მაღაროებისა, ქარხნებისა და კარიერების ადმინისტრაციას დაეკისრება—მტკიცედ დაიცვან ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული წესები.

5. ზედამხედველობა ამა დადგენილების ასრულებისათვის, აგრეთვე ამა თუ იმ დარღვევის შესახებ ოქმის შედგენა დაეკისრება ადგილობრივი სატყეო ადმინისტრაციის თანამდებობის პირთ.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს იმის გარდა, რომ იგი მოვალეა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, შეეფარდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102² მუხ. ვათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიება.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სს რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **აღ. სალარიძე.**

1927 წ. თებერვლის 16.

ტფილისი—სასახლე.



36. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მიერ კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მომქმედ საწარმოსა და სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო სახსარისა და მატერიალური ფასეულობის მოთავსების წესის თაობაზე“ 1926 წლის ნოემბრის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

თანახმად საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 12-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 70 №-რი, მუხ. 535), რომლითაც გაუქმებულია მე-10 მუხლი მისი 1926 წ. ივნისის 16-ს დადგენილებისა „1925-1926 წ. საბიუჯეტო წელში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მიერ ბიუჯეტ-გარე სახსარის გამოყენებისა და კომერციული (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ საწარმოში და სააქციო საზოგადოებებში (საპაიო ამხანაგობებში) სახელმწიფო სახსარის მოთავსების წესის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

გაუქმებულად ჩაითვალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მიერ კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მომქმედ საწარმოსა და სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო სახსარისა და მატერიალური ფასეულობის მოთავსების წესის შესახებ“ (გაზ. „კომუნისტი“-ს 275 №-რი 1926 წ. დეკემბრის 1-სა).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი**.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **აღ. ხალარაძე**.

1927 წ. თებერვლის 28.

ტფილისი—სასახლე.

37. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფოს მიერ სტუდენტ-სტიპენდიატებზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. ყოველი სახელმწიფო სტიპენდიანი მოვალეა, სწავლა-განათლების დამთავრებისთანავე ან დამთავრებამდე სასწავლებლიდან გამოსვლისთანავე, აუნაზღაუროს სახელმწიფოს მიღებული სტიპენდია თავისი სპეციალობის დარგში.

შენიშვნა. ის პირი, რომელიც სტიპენდიას იღებს ამა დადგენილების გამოკვეყნების დროს, მოვალეა შრომით აუნაზღაუროს სახელმწიფოს სტიპენდიის ის ნაწილიც, რაც მას ამა დადგენილების გამოკვეყნებამდე მიუღია.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული სახელმწიფო სტიპენდიატების სიას სახალხო განათლების კომისარიატი გადასცემს ყველა სახალხო კომისარიატს და კომისარიატის უფლებებით მომქმედ დაწესებულებას—არა უგვიანეს ერთი თვისა სტიპენდიატების მიერ სასწავლებლის დამთავრებისა ან დატოვების დღიდან.

3. ყოველი სახალხო კომისარიატი და სახალხო კომისარიატის უფლებით მომქმედი დაწესებულება, არა უგვიანეს ოთხი თვისა ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული სიის მიღების დღიდან, აცნობებს მისთვის საჭირო კვალიფიციურ მუშაკთა რიცხვს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ჯანმრთელობისა, მიწათმოქმედებისა და განათლების სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს უმაღლ. ეკონ. საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთაგან მოწყობილ კომისიას, რომელიც ყოფილ სტიპენდიატებს გაანაწილებს დაინტერესებულ დაწესებულებათა შორის, ხოლო ეს უკანასკნელი გაპზავნიან მათ იმ ადგილებში, სადაც ისინი საჭირონი იქნებიან.

შენიშვნა. უკეთუ სტიპენდიატი იმ ადგილის მუდმივი მცხოვრებია, რომელსაც კვალიფიციური მომუშავე ესაჭიროება, იგი ამ ადგილს გაიგზავნება.

4. სავალდებულო სამსახურის ვადა იმ ანგარიშით განისაზღვრება, რომ ერთი წლის მუშაობა ერთი წლის (საკალენდრო) სტიპენდიას უდრიდეს.

შენიშვნა. სავალდებულო სამსახურის ვადა ტენიკუმისა და უმაღლესი სასწავლებლის ყოფილ მოსწავლე-სტიპენდიატისათვის საერთოდ 6 წელიწადს არ უნდა აღემატებოდეს.

5. ამა დადგენილების წესით სამსახურში მიღებულ ყოფილ სახელმწიფო სტიპენდიატს სამუშაო ხელფასი თავისი თანამდებობის მიხედვით მიეცემა.

6. კლიმატიური ან სხვა არახელსაყრელი პირობების მიხედვით სავალდებულო სამსახურის ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს მე-3 მუხლში აღნიშნული კომისიის მიერ, ხოლო ერთ-მესამედზე არა უმეტეს.

7. ის სახელმწიფო სტიპენდიატი, რომელიც 6 თვის განმავლობაში სასწავლებელიდან გამოსვლის დღიდან სამუშაოზე არ იქნება დანიშნული, განთავისუფლდება შრომით სტიპენდიის ანაზღაურებისაგან.

შენიშვნა. უკეთუ ყოფილი სახელმწიფო სტიპენდიატი სავალდებულო სამსახურს თავს აარიდებს, მან უნდა აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რაც მის სწავლისათვის სახელმწიფომ გასწია. გადახდევინებული თანხა შედის სასტიპენდიო ფონდში.

8. სავალდებულო სამსახურის მოხდის ვადა სტიპენდიატს გადაედება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი:

ა) სამხედრო ბეგარას იხდის;

ბ) დატოვებულია უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მოღვაწეობისა და საპროფესოროდ მომზადებისათვის;

გ) მიიმე ავადმყოფია.

შენიშვნა 1. პედაგოგიური მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელში და მძიმე განუკურნავი ავადმყოფობა გაანთავისუფლებს სტიპენდიატს სახელმწიფო სტიპენდიის სამსახურით ანაზღაურებისაგან.

შენიშვნა 2. იმ ავადმყოფობათა სიას, რის მიხედვითაც სტიპენდიატს შრომით სტიპენდიის ანაზღაურების ვადა უნდა გადაედოს, დაადგენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

9. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება, სახალხო განათლების კომისარიატთან, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს, არა უგვიანეს ერთი თვისა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს საქმეთა მმართველი **აღ. საღარაძე.**

1927 წ. თებერვლის 28.

ტფილისი—სასახლე.

